

Capalac Holz-Imprägniergrund

ხის გამჭირვალე გამჟღენთი გრუნტი - ორმაგი დაცვით.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

Capalac Holz-Imprägniergrund არის ხის გამჟღენთი გრუნტი შესანიშნავი დამცავი თვისებებით, ხის გაუფერულების ხელშემწყობი სოკოსა და ლპობის წინააღმდეგ. გამოიყენება მასიური ხის კომპონენტების, რომლებიც ინარჩუნებენ (კარი და ფანჯარა) და საშუალოდ ინარჩუნებენ ზომებს (დარბაზები, ჭიშკრები, და სხვ.) დაგრუნტვა/გამჟღენთისათვის. გამოიყენება მხოლოდ გარე სივრცეებში. გარე ფანჯრების და კარების დამუშავება ნებადართულია ორივე მხრიდან.

Capalac Holz-Imprägniergrund-ი იცავს ობისა და ლპობისგან - სტატიკურად დაუტვირთავი ხის ელემენტებს, რომლებსაც არ აქვთ შეხება ნიადაგთან.

დამტკიცებული ბიოციდური პროდუქტი (EC) 528/2012 - რეგულაციის მიხედვით.

| | |
|-----------------------------|--|
| პროდუქტის სახეობა: | ხის დამცავი საშუალება (PA8) |
| რეგისტრაციის ნომერი (BauA): | DE-2012-MA-08-00015-ah |
| აქტიური ნივთიერება: | 3.7 გ/ლ პროპიკონაზოლი 11,5 გ/ლ IPBC |

თვისებები

- ხის დამაზიანებელი და გამაუფერულებელი სოკოსგან დაცვა
- სწრაფი შრობის პროცესი
- შესანიშნავი შეღწევის უნარით
- ტენიანობის მარეგულირებელი
- ქმნის ადჰეზიურ ზედაპირს შემდგომი შეღებისთვის/ფენებისთვის

მასალის შემკვრელი

დაბალ არომატული ალკიდური ფისი

შეფუთვა

750 მლ, 2,5 ლ, 10 ლ.

ფერი

გამჭირვალე

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლ. 0,8 გ/სმ³

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606-ის მიხედვით

| | | | | |
|---|-------------|-------------|--------------|--------------|
| ინტერიერი 1 | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი 1 | ექსტერიერი 2 |
| - | - | - | + | + |
| (-) არ არის შესაფერისი / (○) მუზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი | | | | |



გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

დაუფარავი, სტაბილური, ნაწილობრივ სტაბილური და არასტაბილური ზომების მქონე ხის ელემენტები.
 ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებებისგან.
 სტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს, ხოლო ნაწილობრივ და არასტაბილური ზომის მქონე ელემენტების 15%-ს.
 გაითვალისწინეთ ზედაპირის დაცვის კონსტრუქციული პრინციპები, ისინი წარმოადგენენ წინაპირობას საფარი მასალებით ზედაპირის ხანგრძლივი დაცვისათვის.
 ხის ნივთიერებებით (ტანინი, პიგმენტები, ზეთი/ცვილი და ფისი) მდიდარმა ხის ჯიშებმა, მაგ. ლარიქსი, მუხა, ტროპიკული და სხვა ფოთლოვანი ხეები, შესაძლოა გამოწვიოს შრობის დროის გახანგრძლივება.

ზედაპირის მომზადება

ახალი ხის ელემენტები:
 ხის გლუვი ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადასუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი).

ძველი, დაუმუშავებელი ხე:
 განაცრისფრებული, ამინდისგან გამომშრალი ხე დაიშლიფოს ჯანმრთელ, მზიდუნარიან ზედაპირამდე და საფუძვლიანად გაიწმინდოს.

დატანის მეთოდები

დაიტანეთ Capalac Holz-Imprägniergrund გამხსნელების მიმართ მედეგი ფუნჯით, ბოჭკოების მიმართულებით და კარგად გაუღინთეთ ზედაპირი. კარგი გაშრობის შემდგომ (არა ნაკლებ 12 საათისა) ზედაპირი უნდა დამუშავდეს გამხსნელის შემცველი, კაპაროლის ხის ლაზურებით, ხის საღებავებით ან ლაქებით. აუცილებელია - არა ნაკლებ 3 ფენის დატანა.

დაფარვის სტრუქტურა

| ზედაპირი | გამოყენების არე | ზედაპირის მომზადება | გაფუძნთვა | დაფარვთვა | შუალედური ფენა | დამასრულებელი ფენა |
|--------------|-----------------|---------------------|------------------------------|--|--|---|
| ხის ზედაპირი | გარე სივრცე | BFS Nr. 18 | Capalac Holz-Imprägniergrund | Capalac GrundierWeiß, ან Capalac BaseTop Venti, ან Capalac Venti | Capalac GrundierWeiß, ან Capalac BaseTop Venti, ან Capalac Venti | Capalac Weiß, ან Buntlacke - ფერადი ლაქები, ან Capalac BaseTop Venti, ან Capalac Venti |

ხარჯი

დაახლ. 80 - 100 მლ/მ², დამოკიდებულია ზედაპირის შენთვის ხარისხზე. ეს მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემოს თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა ხდება მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

- მასალის, ზედაპირის და გარემოს ტემპერატურა: მინ.. 5 °C
- შესაბამისი ჰაერის ტენიანობა: ≤ 80 %

შრობის დრო

| 20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში | ხელის შეხებით | შემდგომი სამუშაოებისთვის მზად |
|---|---------------|--------------------------------------|
| საათი | 5 | 12 (გამხსნელის შემცველი პროდუქტებით) |

დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაასუფთავეთ სინთეზური ფისოვანი გამხსნელით, ან უნივერსალური გამხსნელით.

მითითებები

რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის

მოარიდეთ ბავშვებს! შეიძლება ფატალური იყოს გადაყლაპვისა და სასუნთქ გზებში შეღწევის შემთხვევაში. შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქციები. ინვესს თვალის მწვავე გაღიზიანებას. შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებით. საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ეფექტით. განმეორებითა ექსპოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე ან დახეთქვა. არ შეისუნთქოთ გამოყენებისას წარმოქმნილი ორთქლი. არ დაუშვათ თვლებში, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრა. არ დაუშვათ პროდუქტის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსაცავებსა და ნიადაგში. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალეები. გადაყლაპვის შემთხვევაში: დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. არ გამოიწვიოთ ღებინება.

პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ პროფესიონალი მომხმარებლისთვის.

შეიცავს: ნაფტას (ნავთს), ჰიდრო დამუშავებულ მძიმე, IPBC (3-იოდო-2 პროპილიბუტილკარბამატს), პროპიკონაზოლს.

ზოგადი მითითებები უსაფრთხოებისთვის: ხის დამცავი პროდუქტები შეიცავს ბიოციდურ აქტიურ ნივთიერებებს ხის დასაცავად, ცხოველური და/ან მცენარეული მავნებლებისგან. ამიტომ გთხოვთ გამოიყენოთ პროდუქტი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად და მხოლოდ იქ, სადაც ნამდვილად საჭიროა ხის დაცვა. არამიზნობრივად გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანება. მოარიდეთ ბავშვებს. მოარიდეთ საკვებს, სასმელს და ცხოველების საკვებს. არ დალიოთ, არ ქამოთ და არ მოწიოთ გამოყენების დროს. მოარიდეთ თვალთან ან კანთან კონტაქტს. არ გამოიყენოთ წყალსაცავების სიახლოვეს. დაიცავით მცენარეები პროდუქტისგან. არ დაუშვათ პროდუქტის ან მისი ნარჩენების კანალიზაციაში, წყალში ან ნიადაგში მოხვედრა. არ გამოიყენოთ დახურულ სივრცეებში, სათბურებსა და საუნებში. არ გამოიყენოთ ხის ელემენტებზე, რომელთაც გააჩნიათ პირდაპირი კონტაქტი საკვებთან, მცენარეებთან ან სკვებთან. შეინახეთ მხოლოდ ორიგინალურ შეფუთვაში. გამოყენებისთანავე მჭიდროდ დაახურეთ თავი. პროდუქტი მომწამვლელია თევზებისა და წყლის ორგანიზმებისთვის. არ შეინახოთ 5 C-ზე დაბალი და 30 C-ზე მაღალი ტემპერატურის პირობებში.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. შეფუთვა პროდუქტის ნარჩენით ჩააბარეთ ძველი ლაქების ჩამბარებულ ჰუნქტში.

VOC
(აქროლადი ორგანული
შენაერთების ზღვრული
კონცენტრაცია ევროკავშირის
სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/h): 750 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 750 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი
Giscode

HSL17
ძველი: HSM-LV20

შემადგენლობა

ალკიდის ფისი, ალიფატიკები, დანამატები, ბიოციდები

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს. კაპაროლ ჯორჯია
აღ.ქართველიძეილის ქ. N°8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge